დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

26 იანვარი, შაბათი, 1991 წ.
№ 14 (10 427) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი. ფონდის სახელზე აგრომრეწვბანკის საქართველოს ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში თანხა შეგიძლიათ ჩეიტანოთ

**მე-700**

ანგარიშზე. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.

სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი: საქართველოს მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველო სფბ № 521921

**00700750**

თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ

**სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი მრონულ ფონდად იქცა!**

● ჩუღურეთის რაიონის მრავალდარგოვანი კოოპერატივის „გორდას“ წევრებმა ეროვნული თავდაცვისა და სამაჩაბლოს აღორძინების ფონდებში გადარიცხეს 3000-3000 მანეთი. გარდა ამისა, მათ სამაჩაბლოში მყოფ ქართულ მილიციას გაუგზავნეს 12 000 მანეთის სურსათ-სანოვაგე (გვაცნობა თ. ჭკუასელმა).

● გლდანის საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა სამაჩაბლოს აღორძინების ფონდს შემატეს 10 000 მანეთი (ი. ქავლიშვილი).

● მრავალდარგოვანი ფაბრიკის „დიდგორის“ კოლექტივმა სამაჩაბლოს ფონდში გადარიცხა 3000 მანეთი (ა. თეზელაშვილი).

● სამგორის ალმასკომის რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ძირძველ ქართველთა ასოციაციის წევრებმა სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში ადრე გადარიცხული თანხის დამატებით კიდევ 3.600 მანეთი გაიღეს (ო. ქვლივიძე).

**ბათუმი**

● აჭარის სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებმა პირადი დანაზოგებიდან სამაჩაბლოს აღორძინების ფონდისთვის გაიღეს 80[illegible] მანეთი (ქევხიშვილი, დეპეშით).

# ბრწყინვალე დასაწყისი

**კობა კურტანიძე და დავით ხახალეიშვილი — სპარტაკიადის ჩემპიონები**

მინსკის ჩოგბურთის სასახლეში დაიწყო საკავშირო X სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ძიუდოისტთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს ყველა უძლიერესი მოჭიდავე კურსკელ ალექსანდრე სივცოვის (86 კგ) გარდა (იგი მძიმე ტრავმის შემდეგ ჯერ არ გამოჯანმრთელებულა).

ბელორუსიის დედაქალაქის სპორტის მოყვარულნი დიდ ინტერესს იჩენენ ტიტულოვან მოჭიდავეთა გამოსვლების მიმართ და ეს გასაგებიცაა. ვის არ უნდა, მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონების ამირან ტოტიკაშვილისა და კობა კურტანიძის ოსტატობის ხილვა? ინტერესით მოელიან აქ, აგრეთვე, ევროპის ოთხგზის ჩემპიონის გროზნოელი ბაშირ ვარაევის, კუიბიშეველი სერგეი კოსოროტოვისა და სხვათა გამოსვლებს.

გუშინწინ, ტრადიციის თანახმად, ასპარეზობა მძიმე და ქვემძიმე წონის ძიუდოისტებმა დაიწყეს. გათამაშდა უმაღლესი ტიტული ორ წონაში და ორივეს ქართველი მოჭიდავეები დაეუფლნენ. მძიმე წონაში ყველას აჯობა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა, 95 კგ წონით კატეგორიაში კი მსოფლიოს ჩემპიონმა, გორელმა კობა კურტანიძემ იმარჯვა.

პარალელურად ასპარეზობა დაიწყეს ძიუდოისტმა ქალებმაც. მძიმე წონაში ოქროს მედალი ხვდა ჩელიაბინსკელ სვეტლანა გუნდარენკოს, ქვემძიმეში კი (72 კგ) ლენინგრადელ ელენა პესოვას.

მინსკშივე ტარდება ძიუდოისტთა შეჯიბრება საკავშირო სპორტსახკომის პრიზზე. აი ამ ტურნირსა და სასპარტაკიადო შეჯიბრებაში გამარჯვებული ათლეტები ბოლოს შეხვდებიან ერთმანეთს, რათა გაითამაშონ 1991 წლის საკავშირო ჩემპიონატის საპრიზო ადგილები.





**სურათებზე: კობა კურტანიძე (მარცხნივ), დავით ხახალეიშვილი.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

**ორი დღე და ამდენი მედალი, ამდენი „ოქრო“ და ამდენი „ვერცხლი“ — კურტანიძე და ხახალეიშვილი — კიდევ 2 ოქროს მედალი (ამჯერად საკავშირო ჩემპიონატზე), ჯონდო დაბრუნდაშვილი და ვიქტორია კაზუნინა — ვერცხლის მედლები (მათაც საკავშირო ჩემპიონატზე).**

## ფოთი — წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი

# მუშაობა დაჩქარდა

**ფოთში**, მალთაყვის ტყე-პარკში დიდი გამოცოცხლება იგრძნობა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელსაც ტრესტ „ფოთმშენის“ (მმართველი ჯ. გურგენაძე) № 1 სამშენებლო სამმართველო აწარმოებს.

რიტმულად მუშაობენ ამწეები, მაღლა აზიდულან ხარაჩოები, საქმიანად ფუსფუსებენ ხელოსნები. აქვე ტრიალებს სამუშაოთა მწარმოებელი ზურაბ მესხი, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზე ვთხოვეთ პასუხის გაცემა.

● **ბატონო ზურაბ, რა სამუშაოს შესრულება აკისრია თქვენს სამმართველოს?**

— ჩვენ დაგვავალეს სპორტული კომპლექსის აშენება. ამ შენობაში, რომლის პირველი სართული უკვე ამოყვანილია, ამოქმედდება სასადილო და სარეაბილიტაციო ცენტრი. აქვე აშენდება მეორე ნაგებობა — სამსართულიანი თანამედროვე სასტუმრო, რომელიც ორას სპორტსმენს დაიტევს. დიდი ყურადღება ექცევა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოტეჯების აგებასაც — ისინი ჯერ ჩემპიონატის სტუმრებს დაეთმობათ, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კი მათ გამოიყენებენ ჩაის კომბინატის მუშაკთა ოჯახების დასასვენებლად.

● **კიდევ რა სახის სამუშაოებია გათვალისწინებული სამომავლოდ?**

— უნდა გავდოთ გადასასვლელი, ე. წ. დაკიდული ხიდი სასტუმროსა და სასადილო-სარეაბილიტაციოს შორის, რომელიც სპორტსმენებს დააკავშირებს გაღმა ნაპირთან, სადაც გაშენდება კეთილმოწყობილი პლაჟი; მოვაწყობთ ჩოგბურთისა და გოლფის მოედნებს.

● **როდისთვისაა ნავარაუდევი სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასრულება?**

— მშენებლობა შარშან, მაისში დავიწყეთ, მაგრამ, ცოტა არ იყოს უხეიროდ, გვქონდა ხელის შემშლელი გარემოებები. ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მუშაობა აჩქარდა. ვფიქრობთ, წელ სამაისოდ ეს ობიექტი მზად იქნებ[illegible]

● **მართალია, ჯერჯერობით ფ[illegible]თში დარია, მაგრამ ამინდი რომ შეიცვალოს, ეს ხომ არ შეგიშლით ხელს?**

— ჩვენ წინასწარ გავითვალისწინეთ ყოველივე. მოვამზადეთ სპეცტანსაცმელი, საწვიმარი მოსასხამები, თუმცა ამინდის შეცვლა რა ბედენაა, როცა ასეთ პასუხსაგებ საქმეს ვართ შეჭიდებულნი.

● **ამჟამად რამდენი კაცი მუშაობს თქვენს ობიექტზე?**

— ოცდათორმეტი. მართალია, მათთვის უქმე დღე არ არსებობს, მაგრამ, სამაგიეროდ, ანაზღაურება კარგი აქვთ. ასე რომ, იმედი გვაქვს, ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წყალსათხილამურო ბაზა „აია“ მომზადებული შეხვდეს ევროპის ჩემპიონატს.

**ტრისტან მანია,**
**„ლელოს“ კორ.**

## მატიანე

**1896 წლიდან** მოყოლებული სამხტომი ყველა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა, როგორც მძლეოსანთა ტურნირის ერთ-ერთი ძირითადი და პრესტიჟული დისციპლინა. პირველ სამ ოლიმპიადაზე სამხტომში წარმატებას ამერიკელი მძლეოსნები აღწევდნენ: მაიერ პრინსტეინმა ჩემპიონის ოქროს მედალი მეორე და მესამე თამაშებში მოიპოვა, ჯეიმს კონოლი კი პირველი უმაღლესი ჯილდოს მფლობელია (1896 წ.). სხვათა შორის, 1968 წლამდე ორჯერ წარმატებას მხოლოდ ზემოხსენებულმა ამერიკელმა პრინსტეინმა მიაღწია და კიდევ ბრაზილიელმა ადემარ ფერეირამ და სილვამ. ამიტომაც მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ სპეციალისტები სამხტომს ყველაზე „ვერაგ“ და „მოუთვინიერებელ“ დისციპლინად.

1968 წლამდე სამი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავდა იაპონიასაც (ოდა, ნამბუ და ტოძიმა), თანაც ერთმანეთის მიყოლებით 1928-1936 წლებში. ორ-ორჯერ ფლობდნენ უმაღლეს ოლიმპიურ ტიტულს შვედი და პოლონელი მძლეოსნები, თითოჯერ დიდი ბრიტანეთის, ფინეთისა და ავსტრალიის წარმომადგენლები.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშებით მსოფლიო სამხტომის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება და ამაში დიდი დამსახურება ვიქტორ სანეევს მიუძღვის. პირველი ოლიმპიური ჯილდო მან ბრაზილიელ ნელსონ პრუდენსიოსთან და იტალიელ ჯუზეპე ჯენტილესთან მძიმე და უკომპრომისო ბრძოლის შემდეგ მიიღო, თანაც ოლიმპიადებისა და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 17 მ. 39 სმ (სხვათა შორის, 17 მეტრიანი ზღვარი ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის პირველმა მან დასძლია).

ოთხი წლის შემდეგ მიუნხენში ვიქტორ სანეევს ახალი კონკურენტი გამოუჩნდა იორგ დრემელის (გდრ) სახით. ფავორიტთა შორის იყო მისი ძველი მეგობარი ნელსონ პრუდენსიოც, მაგრამ იგი ადრე გამოეთიშა მთავარ ბრძოლას და ბოლოს პასიური მეთვალყურის როლით დაკმაყოფილდა. დრემელი კი... საკმაოდ ქერკეტი კაკალი გამოდგა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მაინც ჩამორჩა ოლიმპიურ ჩემპიონს. განსხვავება ამჯერად ერთობ უმნიშვნელო იყო. სანეევის საუკეთესო შედეგს — 17 მ. 35 სმ-ს გერმანელმა მხოლოდ 4 სანტიმეტრი დააკლო

მესამე ოქროს მედალი ვიქტორ სანეევმა 1976 წელს მონრეალში მოიპოვა. მან ამჯერად უფრო დამაჯერებლად მოუგო ამერიკელ ჯონ ბატსს, ბრაზილიელ ჟოაო დი ოლივეირას და ოლიმპიური სამხტომის ისტორიაში პირველმა სამჯერ ზედიზედ მოიპოვა ოქროს მედალი.

ვიქტორ სანეევს შეეძლო აბსოლუტურად უნიკალური მიღწევის ავტორიც გამხდარიყო — მეოთხედ მოეპოვებინა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოსკოვში, 1980 წელს, მაგრამ იქ ბევრი გაუგებარი რამ მოხდა, რაც ცალკე საუბრის თემა უფროა. ამიტომ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მეოთხე ცდაზე სახელოვან მძლეოსანს მხოლოდ ვერცხლის ჯილდო ერგო.




## შვიდი ათასი ფრანკი წოდებისათვის

ეს თანხა გადაურიცხა საკავშირო სპორტსახკომმა ფიდე-ს საბჭოს მოჭადრაკეების მიერ მოპოვებულ საერთაშორისო წოდებების გასაფორმებლად. სიაში 11 ახალი დიდოსტატია: უფელი რუსტამ დაუტოვი, ჩელიაბინსკელი სემიონ დვოირისი, ლენინგრადელი ვლადიმერ ეპიშინი, მოსკოველი იგორ გლეკი, ხარკოველი იგორ ნოვიკოვი, ლუგანსკელი ალექსანდრ შნეიდერი, მინსკელი ილია სმირნოვი, სამარელი იური იაკოვიჩი და პირობით (ვიდრე არ შეასრულებენ მთლიან სარეიტინგო ნორმას) თბილისელი ლამა ჯანჯღავა და მოსკოველი იგორ ნაუმკინი. აგრეთვე ნატალია ალიოხინა (მოსკოვის ოლქი).

# რაგბი, მოედნები და... ჭორები

კარბა ხანი, მესმის — „რაგბი მოედანს აფუჭებს“, „მორაგბეები თუ მოედანზე შეუშვი, გადათხრიან მინდორს“. ვიცი, საიდანაც მოდის ეს ჭორები. აქამდე ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ახლახან ისეთ საზოგადოებაში მოვხვდი, რომელსაც სპორტთან საერთო არაფერი აქვს და იქაც იგივე მოვისმინე. მივხვდი, რომ ამ თითქოსდა უწყინარ ჭორს მოედნების „გულშემატკივრების“ გარდა სხვებიც აჰყოლიან და გადავწყვიტე, სახალხოდ ვუპასუხო მათ.

მარტო იმ ქვეყნების ჩამოთვლა, სადაც მშვენიერი ბალახისსაფარიანი მოედნები მორაგბეებს აქვთ დათმობილი, შორს წაგვიყვანს, რადგანაც რაგბის თამაშობენ აზიასა და ევროპაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და ავსტრალიაში და არსად არ „ხნავენ“ მორაგბეები მოედნებს.

„პარკ დე პრენსის“, „არმზ პარკის“ და სხვა ცნობილი სტადიონების მოედნები „გადაურჩნენ“ მორაგბეებს, ხოლო ჩვენთან — თბილისში, ქუთაისში, თელავში და სხვა ქალაქებში, თუ სტადიონების მეპატრონეებს დავუჯერებთ, მორაგბეები ძირფესვიანად თხრიან ბალახს.

რა გამოდის, მორაგბეებს ჩვეულებრივი სპორტული ფეხსაცმლის ნაცვლად „გუთნები აცვიათ“ ფეხზე? არა, ისინი დიდი ხანია „ადიდასის“ და „პუმის“ სპორტული ფეხსაცმლით თამაშობენ, სწორედ ისეთით, ინგლისელი, ფრანგი, არგენტინელი და ახალზელანდიელი მორაგბეები რომ ასპარეზობენ, ანდა, განა საქართველოში მოედნებზე სხვაგვარი მიწაა, რომელზეც ისეთი ნაზი და არაჩვეულებრივი ჯიშის ბალახი იზრდება, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის??!

მინდა მივმართო სტადიონების ხელმძღვანელებს: ბატონებო, ნუ გვაბრალებთ ქართველ მორაგბეებს ამას, თქვენი ბრალია ეს — თქვენ არ უვლით მოედნებს, არ რწყავთ, საჭირო რაოდენობის ნაკელი არ შეგაქვთ ნიადაგში, არც საგორავი მანქანებით ასწორებთ მოედნებს და სარეველასაგან არ წმენდთ. თქვენი ნება რომ იყოს, ალბათ ფეხბურთში მეკარესაც აუკრძალავდით კარში დგომას, რადგან მეკარის მოედანზე ბალახი მეჩხერდება.

აგერ უკვე ოცი წელია, რაც მორაგბეები თამაშობენ 26 მაისის სახელობის (ყოფილი „ლოკომოტივის“) სტადიონზე. იქ ჩატარებულა ევროპის, საკავშირო და საქართველოს ჩემპიონატების მატჩები და, არ მახსოვს, ვინმეს დაეწუნებინოს ბალახის საფარი.

უკვე აღვნიშნე, რა სჭირდება მინდვრის ნორმალურ მოვლას, მაგრამ ახლა ჩემი თვალით ნანახი ამბავიც მინდა მოგითხროთ: ზიმბაბვეში, სადაც უამრავი, ხალიჩასავით რაგბის მოედნებია, ერთ-ერთ მათგანზე შემდეგს შევესწარი: დილით ოთხი მუშა რწყავდა მოედანს, შემდეგ ჯერ რეზინისა და რკინის საგორავები გადაატარეს რამდენიმეჯერ, მერე კარგად ათვალიერებდნენ ბალახს და, თუ სარეველას შეამჩნევდნენ, ფესვებში შპრიცით სპეციალურ ხსნარს ასხამდნენ (როგორც შემდეგ გავარკვიე, სარეველა ხელმეორედ რომ არ გაჩენილიყო), ხოლო შემდეგ ფესვებიანად იღებდნენ მოედნიდან.

ეს ყველაფერი შუადღემდე გრძელდებოდა. ამის მერე იმ მოედანზე გვიან საღამომდე განუწყვეტლივ თამაშობდნენ ბავშვები რაგბის, ახალგაზრდები და ვეტერანები. აქ ასეა თითქმის ყოველდღე, რაც თავი ახსოვთ იქაური კლუბის ხელმძღვანელებს.

მეტყვიან, ალბათ, სტადიონის პატრონები: შე დალოცვილო, იმათნაირი კვალიფიციური მუშები, ტექნიკა და საჭირო ფული ჩვენც მოგვეცი და მოედნებს ისე მოვუვლით, როგორც საჭიროაო. მესმის ბატონებო, მაგრამ, გული მწყდება, როცა ჩვენს ყამირ მოედნებს ვხედავ. განსაკუთრებით გვალვიანი ამინდების დროს, როდესაც დამსკდარ მიწას და გადაყვითლებულ ბალახს ვუმზერ. იქნებ მორწყათ მაინც, თორემ ცოდონი არიან ჩვენი მორაგბეები, როდესაც ქვასავით მაგარ მიწაზე ეცემიან.

დაბოლოს, მინდა ჭორის გამავრცელებლებსაც და დამჯერებლებსაც მივმართო: გვერწმუნეთ, არ აფუჭებენ მოედნებს მორაგბეები!

**დავით კილასონია,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი.**

# მუგუზალა

მისი ნამდვილი სახელი — სოსო — მის მშობლიურ ქალაქში მხოლოდ მისმა ახლობლებმა იცოდნენ, შერქმეული კი — ქალაქის მთელმა ახალგაზრდობამ.

საშუალოზე დაბალი ტანისა იყო; გამხდარი, ყლალი თმებითა და წარბ-წამწამით, დაჭორფლილი სახით; ნაცარგაცლილ მუგუზალივით ანათებდა და სწორედ ამიტომ შეარქვეს მუგუზალა.

სპორტს არ მისდევდა, რადგან ფიზიკურად სუსტი, ფეხმრუდი იყო. მიუხედავად ამისა, სპორტი ფანატიკურად უყვარდა. განსაკუთრებით ფეხბურთს ეთაყვანებოდა. იმ გუნდს ექომაგებოდა, რომელშიც მისი თანატოლები თამაშობდნენ. საფეხბურთო მატჩებს კი არა, ვარჯიშებსაც არ აცდენდა. გუნდის წარმატებას თუ წარუმატებლობას მოთამაშეებზე მეტად განიცდიდა.

მუგუზალა თავისი თავისთვის ძალზე ძუნწი იყო. დაკერებული შარვალ-ხალათით და ფეხსაცმელებით დადიოდა. კაპიკ-კაპიკ ნაგროვებ ფულს, როდესაც „მის“ გუნდს გასვლითი მატჩი ჰქონდა, სამგზავროდ იყენებდა. თუ გუნდი გაიმარჯვებდა, იმ მოთამაშეს, რომელსაც მწვრთნელი ყველაზე მეტად შეაქებდა, მცირე საჩუქრით „აჯილდოვებდა“.

მუგუზალას ასეთი დამოკიდებულება სპორტისადმი ყველა მოთამაშემ კარგად იცოდა. მის ხსენებაზე ყველას ღიმილი გადაუვლიდა სახეზე.

ახალი სეზონის დასაწყისში ორი გასვლითი მატჩი ჩავატარეთ და ორივე დიდი ანგარიშით წავაგეთ. მარცხი ყველამ თავისებურად ახსნა, კაპიტანმა მუგუზალას დააბრალა — „რიჟაა“ და თარსიაო.

მომდევნო, საქართველოს თასის შესარჩევი მატჩი შინ ჩავატარეთ და დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ. ამ თამაშს, ავადმყოფობის გამო, მუგუზალა არ დასწრებია. ამას მეოთხედფინალური გასვლითი შეხვედრა მოჰყვა ზუგდიდში. პრინციპული მატჩისათვის გულმოდგინედ დავიწყეთ მზადება. წასვლის წინა დღეს, ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, ნაავადმყოფარი მუგუზალა გამოგვეცხადა და გვთხოვა, ზუგდიდში წაგვეყვანა. კაპიტანმა წარბები შეჰყარა და მუქარით განუცხადა: „შენ ბოლო დროს ითარსები, ორი გასვლითი მატჩი წაგვაგებინე, ზუგდიდში კიდევ რომ წავაგოთ, იცოდე, შენი ბრალი იქნება და ცოცხალი ვერ გადამირჩები, გიჯობს აქ დარჩეო“.

— მე მაინც წამოვალ! — წამოიძახა მუგუზალამ. „წამოხვალ და, სადაც წაგასწრებ, იქ მიგბეგვავ“ — დაუბრიალა თვალები კაპიტანმა და მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

მუგუზალას ეწყინა, თვალები ცრემლით აევსო და ბუზღუნით დატოვა სტადიონი.

თბილისი-სოხუმის მატარებელი, რომელსაც ჩვენი გუნდი ინგირის სადგურამდე უნდა ჩაეყვანა, ღამის ორ საათზე გადიოდა. ბაქანზე ადრე გავედით. მოულოდნელად ერთმა ფეხბურთელმა წამოიძახა — აგერ, მუგუზალა! სად არის მუგუზალა, ხომ არ მოგელანდა? — შევძახეთ. — ნამდვილად ის იყო, ჯიხურს მოეფარა. — გაიშვირა ხელი ფეხბურთელმა იმ ჯიხურისკენ, რომელიც სადგურიდან ოცდაათი მეტრის მოცილებით იდგა. ყველამ ყურადღება იქეთ გადავიტანეთ. ორიოდე წუთის შემდეგ ჯიხურის ერთი კედლიდან წითელმა თავმა გამოანათა. მუგუზალა! — ერთხმად დაიძახა მთელმა გუნდმა. კაპიტანი სირბილით, გუნდის წევრები ნელი სვლით წავედით ჯიხურისკენ. როდესაც გავცდით სადგურის შენობას, ასეთი სურათის მოწმენი გავხდით — მუგუზალა სწრაფად გარბოდა ხიდისკენ. უკან ჩვენი კაპიტანი მისდევდა. მალე ორივენი გაუჩინარდნენ. კაპიტანი მალე დაბრუნდა. დაბოლმილმა ღრმად ამოისუნთქა და თქვა — რომ დამეჭირა, მაგ ოხერს ვცემდიო. მალე მატარებელიც ჩამოდგა. ყველამ ვაგონს მივაშურეთ და ჩვენი ადგილები დავიკავეთ. მხოლოდ კაპიტანი იდგა ფანჯარასთან, ხიდისკენ იყურებოდა. როცა მატარებელი სადგურს გასცდა, მაშინ მოსცილდა ფანჯარას. ინგირის სადგურში დილით ჩავედით, სამი იაფფასიანი ეტლი დავიქირავეთ, შიგ შვიდ-შვიდი კაცი ჩავჯექით და ზუგდიდის გზას დავადექით. ზუგდიდს რომ მივუახლოვდით, ჩვენმა მეეტლემ ყურები დაცქვიტა, უკან მიიხედა და წინ მავალ მეეტლეებს გასძახა: ნარკომის ეტლი მოდის, ფრთხილად იყავითო. — იმ დროს ნარკომს დიდი თანამდებობის პირს ეძახდნენ. მეეტლეებმა ეტლები გზის მარცხენა მხარეს გადაიყვანეს და ნელი სვლით განაგრძეს გზა. დიდხანს არ გვიცდია — ორმა შავმა ცხენმა, მოვერცხლილი სადავეებით მორთულმა, ეჟვნების ჟღარუნით სწრაფად ჩაატარა მდიდრულად გაწყობილი ეტლი, რომელშიც შავჩოხიანი, კრაველის ქუდიანი წითური კაცი იჯდა. გუნდის მწვრთნელმა ეტლს თვალი გააყოლა და ნაღვლიანად თქვა — რას ნიშნავს დიდკაცობა, ჩვენ შვიდი ამ დამტვრეულ ეტლში ვისრისებით, ის კი ერთ ეტლშიც ვერ ეტევაო. ამის თქმა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ჩვენი ეტლის მარჯვენა მხარე აჭრიალდა. წამით და, უკანა ნაწილი ფრთამოტეხილი ჩიტივით მიწაზე დაენარცხა, სამიოდე მეტრი გახოხდა და გაჩერდა. მომძვრალი ბორბალი გამოგორდა და ჩვენს შემდეგ მიმავალ ეტლს უკანიდან დაეტაკა. სწრაფად გადმოვხტით ეტლიდან. მეეტლემ დაზიანებული ადგილი დაათვალიერა, შემდეგ თავში ხელი წაიშინა და გაუგებარ ენაზე დაიწყო ლანძღვა. ჩვენც გვერდით ამოვუდექით და მის მწუხარებას ვიზიარებდით.

მალე წინმიმავალი თანაგუნდელები და მათი მეეტლე შემოგვიერთდნენ. ვცადეთ ბორბალი ადგილზე დაგვეყენებინა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ — ღერძს ხრახნი ჰქონდა გაცვეთილი. იძულებულნი გავხდით, მეეტლე თავისი დაზიანებული ეტლით ადგილზე დაგვეტოვებინა.

კაპიტანი ჯავრობდა — ნარკომის ეტლში რომ ზუგდიდელი მუგუზალა იჯდა, იმან დაგვთარსაო. დიახ, ნარკომის ეტლში მან სწორედ მუგუზალა შეენიშნა. მწვრთნელი კაპიტანს ადანაშაულებდა: შენ, მუგუზალას უბედურებაში რომ ჩადგი ფეხი, ეს ფათერაკი იმიტომ შეგვემთხვაო.

ზუგდიდელებმა ცივად მიგვიღეს. ეს ის დრო იყო, როდესაც ცაზე გარკვევით ჩანდა მოახლოებული ომის შავი ღრუბელი, და სპორტისთვის არავის ეცალა. მატჩი მაინც შედგა. როგორც ბევრ შემთხვევაში, მსაჯი, მაყურებელი და ქარიც კი, მასპინძლებს ეხმარებოდნენ, მაგრამ მათი გუნდი სუსტი იყო და იერიშებს ადვილად ვიგერიებდით. მსაჯმაც ობიექტურად დაიწყო მსაჯობა. გავიმარჯვეთ.

დალილ-დაქანცულნი გასახდელის წინ მოლზე წამოვწექით. გარშემო ადგილობრივი გულშემატკივრები გვერტყნენ და ცნობისმოყვარეობით გვიცქერდნენ. შორიდან ნაცნობი ხმა მოგვესმა—ეხლაც თარსი ვარ! ხმა თანდათანობით გვიახლოვდებოდა. რამდენიმე წამი და ჩვენს წინ მუგუზალა აღიმართა. ეს ისეთი მოულოდნელი იყო ჩვენთვის, რომ ყველას სიცილი აგვივარდა. ხალხი გაკვირვებული გვიყურებდა, ვერ მიმხვდარიყო, რაზე ვიცინოდით. როცა სიცილით გული ვიჯერეთ, ზეზე წამოვხტით, მუგუზალა შუაში მოვიქციეთ, საშხაპეში შევიყვანეთ და ჩვენთან ერთად ვაბანავეთ. მწვრთნელმა ახალი მაისური, ახალი სპორტული ფეხსაცმელი ჩააცვა და ვახშამზე მიიწვია. ეტყობოდა, მთელი დღის უჭმელი იყო. ეს პატარა კაცი ძლივს დავაპურეთ. როდესაც სული მოითქვა, საღერღელი აეშალა და გვიამბო ზუგდიდამდე თავისი მგზავრობის ამბავი.

როდესაც კაპიტანი ხიდგაღმა გამომედევნა, ეგონა მომიცილა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. ის რომ ხიდს უთვალთვალებდა, მე მდინარე გადმოვცურე, სირბილით რკინიგზაზე ისეთ ადგილზე გავედი, სადაც უკანა ვაგონი დგებოდა. თქვენ რომ ვაგონში შეხვედით, მე კიბეზე მოვკალათდი და ასე ჩამოვედი ინგირამდე. როდესაც მატარებელი ინგირს მიუახლოვდა, გაჩერებამდე ჩამოვხტი, იქვე ჩაის ბუჩქებში მივიმალე. თქვენ ეტლში ჩაჯექით და ზუგდიდის გზას დაადექით. მე სადგურის უკანა მოედანზე გავედი. იქ აღარც ეტლები ჩანდნენ და აღარც მგზავრები. ორიოდე წუთის შემდეგ ნარკომის ეტლი შემოვიდა, წრე შემოუარა და, მგზავრები რომ ვერ შენიშნა, გაჩერდა. მეეტლემ თუთუნი გაახვია და გააბოლა. მე მისკენ წავედი. გაკვირვებულმა დამიწყო ცქერა. ახლოს მივედი და მის წინ გავჩერდი. ხელით მანიშნა, რა გინდაო? ქართულად ვუთხარი, საიდან ვიყავი და სად მივდიოდი. — ჩემი ეტლით წაგიყვანო, — ხმამაღლა წარმოთქვა და სიცილი აუვარდა. შენ რომ ჩემს ეტლში უფროსმა დაგინახოს, ხომ გამაციმბირა ან ხალხი რას იტყვის, ხომ მომეჭრა თავი, დაიკარგე აქედანო, — დაიღრიალა და მათრახი აღმართა. მეც არ დავაყოვნე, ჯიბიდან წითელი სამთუმნიანი ამოვაცოცე და დავანახვე. ამის დანახვამ მოალბო და მითხრა. — აი, იქ, გზის დასაწყისში რომ დიდი ხე დგას, იქ დამიცადეო. მეც იქით წავედი, ხემდე მისულიც არ ვიყავი, რომ ჩემ გვერდით ეტლი დადგა და მეც სწრაფად ჩავხტი შიგ. მეეტლემ ჩოხა გაიხადა, შიგ გამახვია, კრაველის ქუდიც დამახურა, ცხენებს მათრახი გადააწნა და ზუგდიდისაკენ დაიძრა... სტადიონამდე მიმიყვანა.

მუგუზალას ნაამბობმა გაგვაოგნა. დავრწმუნდით, რომ სპორტი მისი სიცოცხლის ნაწილი იყო და, პირობა მივეცით, რომ ამიერიდან მუდამ ჩვენთან იქნებოდა. მუგუზალა სიხარულისგან აცრემლდა. მისმა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. ერთ კვირაში ომი დაიწყო, ერთი წლის შემდეგ ჯარში გაიწვიეს, მაგრამ კომისიამ დაიწუნა, თუმცა მალე, მართალია უკანონოდ, მაგრამ მაინც მოქმედ ჯარში უკრეს თავი. ექვსი თვის შემდეგ ფეხებში დაჭრილი ჩამოვიდა; ყავარჯნებით დადიოდა. მაინც არ მოეშვნენ, მოარჩინეს და მეორედ წაიყვანეს. ამჯერად კი ბედმა უმტყუნა...

**შოთა გაჩეჩილაძე,**



გუდაური, თოვლი, სიხარული.

# არ ივიწყებენ...

დღეს საქართველოში ათასობით ობოლი და მშობლების ალერსს მოკლებული ბავშვია. მათს ფიზიკურ და სულიერ გაჯანსაღებაზე, უკეთეს მომავალზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა.

ქართული მილიცია, მიუხედავად იმისა, რომ ის მრავალი სამოქალაქო თუ პატრიოტული საქმით არის დაკავებული, არ ივიწყებს უდედმამო ნორჩებს და შეძლებისდაგვარად ცდილობს შეუმსუბუქოს მათ ცხოვრების ბედკრულობით გამოწვეული ტკივილი.

ამ მიზნით 1991 წლის 16 იანვარს კრწანისის რაიონის დახურულ საცურაო კომპლექსში თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ფიზმომზადებისა და სპორტის განყოფილების (უფროსი თ. ლაკია) და ამ საცურაო კომპლექსის (დირექტორი თ. მეშველიანი) თანამშრომლების ინიციატივით გაიმართა „მხიარული შეჯიბრება წყალზე“ ისნის რაიონის 90-ე საშუალო სკოლის გუნდ „დელფინსა“ და საცურაო კომპლექსის გუნდ „ზვიგენს“ შორის. უმთავრესი ის გახლდათ, რომ თბილისის № 1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ორივე გუნდში თანაბრად იყვნენ განაწილებულნი.

შეჯიბრებამ, რომელიც ცხრა მხიარული თამაშისგან შედგებოდა, დიდხანს გასტანა. მასპინძლებიც და ნორჩი სტუმრებიც ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ.

**ზეზია ნაზაძე,**

# 22 რჩეული

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა რესპუბლიკის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე 22 საუკეთესო ფეხბურთელის სია.

**მეკარეები**

1. ნ. ჩხეიძე („ქუთაისი“), 2. გ. ყორყოლიანი („ცხუმი“).

**მარჯვენა მცველები**

1. ბ. დანელია („გურია“), 2. ო. თეთრაძე („მერცხალი“).

**ცენტრალური მცველები**

1. ს. ჰედია („იბერია“), 2. დ. კუდინოვი („გორდა“).

**მარცხენა მცველები**

1. გ. ტყებუჩავა („გურია“), 2. გ. ჯიშკარიანი („იბერია“).

**წინა ცენტრალური მცველები**

1. კ. ცხადაძე („იბერია“), 2. გ. გუჯაბიძე („გურია“).

**მარჯვენა ნახევარმცველები**

1. გ. გოგრიჭიანი („ცხუმი“), 2. ზ. რევიშვილი („იბერია“).

**ცენტრალური ნახევარმცველები**

1. დ. ცომაია („გურია“), 2. გ. კილასონია („გორდა“).

**მარცხენა ნახევარმცველები**

1. მ. ბიგვავა („ოდიში“), 2. ბ. ფრიდონაშვილი („გურია“).

**მარჯვენა გარემარბები**

1. გ. გურული („იბერია“), 2. მ. ფანცულაია („გორდა“).

**ცენტრალური თავდამსხმელები**

1. თ. ქეცბაია („იბერია“), 2. ო. კორღალიძე („გურია“).

**მარცხენა გარემარბები**

1. მ. ჯიშკარიანი („ცხუმი“), 2. კ. კაჭარავა („იბერია“).

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

# პირველი ეროვნული: სტატისტიკა

**საქართველოს** პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშეს 612 მატჩი, რომელთაგან 248 მოიგეს მასპინძლებმა, ამდენივე სტუმრებმა, ხოლო 116 შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

სულ ჩემპიონატში გაიტანეს 1764 ბურთი, საშუალოდ 2,88 ბურთი თითოეულ შეხვედრაში.

ჩემპიონატის მატჩებში ყველაზე პოპულარული ანგარიშია 1:0, ასე დამთავრდა 58 შეხვედრა; 32-ჯერ დაფიქსირდა ანგარიშები: 2:1 და 2:0.

სულ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 420-მა ფეხბურთელმა. ყველაზე მეტი ფეხბურთელი გამოსცადა ცხინვალის „ლიახვმა“ — 28; ყველაზე ნაკლები — „გურიამ“, „ბათუმმა“, „მერცხალმა“ და „კოლხეთმა“ — 20-20.

ჩემპიონატის ყველა, 34-ვე კალენდარულ მატჩში მონაწილეობა მიიღეს ფოთის „კოლხეთი-1913“-ის წევრებმა: გ. გიორგაძემ და თოფურიამ; 33-33 მატჩი ითამაშა 15 ფეხბურთელმა, რომელთა შორის 5 რუსთავის „გორდას“ წარმომადგენელია.

ყველაზე მეტი — 10 თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა მ. კობიაშვილმა, 8-ჯერ — თ. ლაცაბიძემ, ხოლო 7-7-ჯერ — ე. სილაგაძემ, მ. მალაღურაძემ და მ. მირცხულავამ.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ გ. გურული („იბერია“) და მ. ფანცულაია („გორდა“), რომელთაც მეტოქეების კარში — 23-23 ბურთი გაიტანეს. გ. გურულის პროცენტული კოეფიციენტია 0,9 გოლი თითოეულ მატჩში, მ. ფანცულაიასი კი — 0,7.

ჩემპიონატში მონაწილე გუნდების საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ: გ. გურული — 23 ბურთი (7 პენალტით), „იბერია“; ო. კორღალიძე — 21 (3), „გურია“, მ. ფანცულაია — 23 (8), „გორდა“; თ. ფაიქიძე — 10, „ქუთაისი“; დ. მჭედლიშვილი... დ. მახარაძე — 15, „კოლხეთი-1913“ ტ. დურდიაძე — 11 (ყველა პენალტით), „ბათუმი“, გ. გოგრიჭიანი 14 (2), „ცხუმი“, მ. შეროზია — 8 (1), „ოდიში“; შ. კაშია — 9, „მერცხალი“; დ. ნეფარიძე — 10, „დილა“; ზ. ბაკურაძე — 10 (3), „კოლხეთი“; გ. გაბისონია — 16 (3), „მზიური“, კ. რუხაძე, ი. გოგაძე, ზ. დადუნაშვილი — 4; დ. თვალაბეიშვილი — 4 (2); ნ. ჰელიძე — 4 (3) — ყველა „სანავარდო“; გ. ხარაბაძე — 11, „სამგურალი“; გ. მღვდელაძე — 5, გ. ქიმერიძე — 5 (1), „ივერია“, გ. ქობელაშვილი — 11 (3), „შევარდენი-1906“, მ. ქობალია — 10 (3), „ამირანი“, ა. დოგუზოვი, მ. სანაკოევი — 2 (1), „ლიახვი“

ჩემპიონატში აღირიცხა 5 ავტოგოლი, რომელთა „ავტორებიც“ არიან: გ. კეტაშვილი („იბერია“), დ. კუდინოვი („გორდა“), ბ. ბერაძე („სამგურალი“), დ. ღურწკაია („მზიური“), ზ. ხამაშურიძე („მერცხალი“).

ჩემპიონატში ხუთმა ფეხბურთელმა შეძლო ერთ თამაშში 4 ბურთის გატანა. ესენი არიან: ო. კორღალიძე („გურია“), გ. კილასონია და მ. ფანცულაია (ორივე „გორდა“), მ. ქობალია („ამირანი“), დ. მახარაძე („კოლხეთი-1913“).

11-მა ფეხბურთელმა შეძლო ერთ შეხვედრაში 3 ბურთის გატანა: გ. გურული („იბერია“) — 2-ჯერ; კ. კაჭარავა, ზ. რევიშვილი (ორივე — „იბერია“), ზ. ბაკურაძე („კოლხეთი“), თ. ფაიქიძე („ქუთაისი“), დ. უგრელიძე („გურია“), ნ. თვარაძე („კოლხეთი“ — 1913“), მ. მალანია („ოდიში“), გ. ქიმერიძე („ივერია“), გ. ხარაბაძე („სამგურალი“) და კ. ხარჩილავა („მზიური“).

დიდი ანგარიში აღინიშნა 69 მატჩში. ყველაზე უხვგოლიანი იყო XXXII ტურის შეხვედრა „ქუთაისი“ — „დილა“ 8:3.

ჩემპიონატის მსვლელობის დროს რუსთავის „გორდამ“ მოიგო ზედიზედ 9 შეხვედრა (III-XI ტურები). მოწინააღმდეგის კარში გაიტანა 25, საკუთარში კი მიიღო მხოლოდ 5 ბურთი.

თბილისის „იბერიამ“ მხოლოდ 4 თამაშში ვერ შეძლო გოლის გატანა; ლანჩხუთის „გურიამ“ 20 თამაში ჩაატარა ისე, რომ ბურთი საკუთარ კარში არ მიუღია, ბათუმის „ბათუმმა“ კი — 17.

მეორე წრე უკეთ ჩაატარა ოჩამჩირის „ამირანმა“, რომელმაც დააგროვა 13 ქულით მეტი, ვიდრე I წრეში. 12-12 ქულით მეტი დააგროვეს „კოლხეთი-1913“-მა და გალის „მზიურმა“. შედარებით სუსტად ჩაატარეს მეორე წრის მატჩები ხობის „კოლხეთმა“ და ოზურგეთის „მერცხალმა“, რომლებმაც დააგროვეს 15 ქულით ნაკლები, ვიდრე I წრეში; 13 ქულით ნაკლები დააგროვა ბათუმის „ბათუმმა“.

სულ ჩემპიონატში დაინიშნა 108 პენალტი, რომელთა შორის 20 ვერ გამოიყენეს. ყველაზე მეტი პენალტი დაინიშნა XXXIII ტურში — 10 (ყველა გაიტანეს); არც ერთი პენალტი არ დანიშნულა — XXII, XXIII, XXVIII და XXX ტურებში.

ყველაზე მეტჯერ პენალტები დაარტყეს ბათუმის „ბათუმის“ — 12-ჯერ და თბილისის „იბერიის“ — 11-ჯერ — ფეხბურთელებმა, რომელთაგან ყველა გამოიყენეს. ოზურგეთის „მერცხალმა“ კი მთელ სეზონში მხოლოდ ერთხელ „ისარგებლა“.

აღსანიშნავია, რომ 11 პენალტიდან ყველა გამოიყენა ტ. დურდიაძემ, 8-დან 8 გაიტანა მ. ფანცულაიამ („გორდა“).

სულ ჩემპიონატის მსვლელობისას ყვითელი ბარათის ჩვენება მსაჯებს მოუხდათ — 195-ჯერ, ხოლო წითლისა — 19-ჯერ.

ყველაზე მეტი (4) ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან XI ტურში, ხოლო 3 — XXIII ტურში.

**რამაზ ჯაბაური,**

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ხამაჩაბლოს ალორძინების ფონდში.

## შესარჩევი ციკლი განახლდა

**დაიწყო** 1992 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის წლევანდელი შესარჩევი ციკლი. საბერძნეთის ნაკრებმა ათენში მიიღო პორტუგალიის გუნდი (VI შესარჩევი ჯგუფი), გაიმარჯვა ანგარიშით 3:2 და შეინარჩუნა ფინალში გასვლის შანსი.

ამ ჯგუფში ახლა ბერძნებსა და ჰოლანდიელებს 4-4 ქულა აქვთ, პორტუგალიელებს — 3, ფინელებს — 2 (მათ ერთი შეხვედრით ნაკლები ჩაატარეს) და მალტის გუნდს — 1.

ბერძნებისა და პორტუგალიელების შეხვედრის 84-ე წუთზე ანგარიში იყო 2:2 მატჩის ბედი გადაწყვიტა ცალუხიდისის მიერ თავით გატანილმა ბურთმა.

## ურთულესი ოპერაცია

პოპულარულმა უნგრელმა ფეხბურთელმა ლაიოშ დეტარიმ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია, მუხლის (მენისკის) მეტად რთული ოპერაცია გაიკეთა. ზუსტად ასეთი დაზიანების გამო, როგორც ცნობილია, მთელი წელი გააცდინა რუუდ გულიტმა. ექიმები ვარაუდობენ, რომ დეტარი, მართალია მალე ვერა, მაგრამ მაინც ჩადგება მწყობრში, დაუბრუნდება თავის ახლანდელ კლუბ „ბოლონიას“.

## შესაძლოა გადამწყვეტი გამოდგეს

მოხდა ისე, რომ, ესპანეთის 1990-91 წლების ჩემპიონატის განრიგით, შეჯიბრების უკანასკნელ ტურში 9 ივნისს ერთმანეთს ძველისძველი მეტოქეები — მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ შეხვდებიან.

როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, შესაძლოა სწორედ ამ შეხვედრამ გადაწყვიტოს ჩემპიონატის ბედი.

## ჯერჯერობით არაფერი ეტყობა

როცა სეზონის წინ „გაზეტა დელო სპორტმა“ ჩაატარა მკითხველთა კონკურსი — „ვინ გახდება იტალიის 1990-91 წლების ჩემპიონი?“, უმეტესობამ (30,8 პროცენტმა) „ნაპოლი“ დაასახელა; შემდეგ მოდიოდნენ „მილანი“ (25,4) და „იუვენტუსი“ (22,8).

ამ ორი გუნდისა რა მოგახსენოთ,



მაგრამ „ნაპოლის“ მიმართ, ეტყობა, აშკარა შეცდომა მოუვიდათ. იგი საგრძნობლად ჩამორჩება ლიდერებს და, თუ სასწაული არ მოხდა, პრიზიორებს შორისაც ვერ უნდა მოხვდეს.

## „მარაკანა“ კვლავ გაიხსნა

რთული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, კვლავ გაიხსნა რიო-დე-ჟანეიროს განთქმული სტადიონი „მარაკანა“, რომელიც 6 თვით იყო დაკეტილი. მისი განახლება ბრაზილიური სპორტის მესვეურებსა და ქალაქის ხელისუფლებას 50 მილიონი დოლარი დაუჯდათ.

## ზამთარია, ზამთარი...

ზოგან უხვმა თოვლმა, ზოგან წვიმებმა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებს არაერთი სიძნელე შეუქმნა. გადაიდო მატჩები ინგლისსა და იტალიაში. ბევრგან სტადიონებიც კი დაზიანდა.

ტურინში მსოფლიო პირველობისათვის აშენებული ახალთახალი სტადიონი „ალლი“ დიდთოვლობამ პირდაპირ გამოუსადეგარი გახადა. მოიშალა გასათბობი სისტემა. ამის მიუხედავად, გულშემატკივრები ისეთი ინტერესით ელოდნენ ერთ-ერთ კალენდარულ მატჩს, რომ თვითონ გამოთქვეს სურვილი დახმარებოდნენ სტადიონის დირექციას და გაეწმინდათ თოვლი. კოკისპირულმა წვიმამ დიდი ზიანი მიაყენა გენუის სტადიონსაც.

# დამაიმედებელი წარმატება

**ეჭვმიუტანელი** ჭეშმარიტებაა: ქართული ფეხბურთის შემდგომი ბედი მტკიცედაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მომავალი ეზრდება მას. სწორედ ბავშვებმა უნდა ჩაუყარონ საფუძველი იმ დიდ ფეხბურთს, რომელნაც ქართული ფეხბურთის დიდება შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უნდა გაიტანოს. ჩვენი ახალბედა ფეხბურთელები ამჟამად საკმაოდ იშვიათად მონაწილეობენ სხვადასხვა საკავშირო ტურნირებში (მიზეზი ყველასათვის ცნობილია), წარმატებებს კი თვალსაჩინოს აღწევენ. სულ ახლახან დნეპროპეტროვსკიდან დაბრუნდნენ საფეხბურთო სკოლის „პატარა ვერელის“ ნორჩი აღსაზრდელები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საფეხბურთო ტურნირში. ამის შესახებ ვესაუბრეთ გუნდის მწვრთნელ ვლადიმერ კოპალიანს.

— დნეპროპეტროვსკში ქალაქის ხელმძღვანელობამ მიგვიწვია. შეჯიბრება წრიული სისტემით წარიმართა. მასში სულ 12 გუნდს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ კიეველმა და ბათუმელმა ფეხბურთელებმა დროულად ვერ შეძლეს ჩამოსვლა. დარჩენილი 10 გუნდი ორ ჯგუფად დაყვეს. ჩვენ პირველ ჯგუფში მოვხვდით. აქვე ასპარეზობდნენ პავლოგრადელი, მარგანეცელი და მასპინძლების ორი გუნდი. ჯგუფში ყველა თამაში მოვიგეთ. შემდეგ, დავამარცხეთ სოჩელი და მარგანეცელი ფეხბურთელები (7:1 და 10:1) და ფინალურ ეტაპზე გავედით. აქ შევხვდით დნეპროძერჟინსკელებს და მათაც დიდი ანგარიშით (8:2) ვაჯობეთ. ამ ეტაპზე ორჯერ ვეთამაშეთ ტურნირის მასპინძლებს. ჯერ დავმარცხდით — 2:3, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში დამაჯერებელი რევანში ავიღეთ — 12:6 და პირველი ადგილი დავიკავეთ.

ტურნირზე დაწესებული იყო საუკეთესო პრიზები მოთამაშეთათვის. ჩვენი გუნდის ორმა ფეხბურთელმა: მეკარე ფრიდონ მჭედლიძემ და მცველმა ლევან ყაჭრიშვილმა დაიმსახურეს ისინი. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ფეხბურთელებს (1979-80 წლებში დაბადებულნი) ასპარეზობა უხდებოდათ მათზე 2-3 წლით უფროსებთან. ამიტომ მათი გამოსვლით მეტად კმაყოფილი ვარ.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს სპონსორს, ლინოლეუმის ქარხანას (დირექტორი ლ. მოსტოვოი), რომელმაც უზრუნველყო ჩვენი გამგზავრება ტურნირზე. თებერვალში მიწვეულნი ვართ პავლოგრადის ტურნირზე. ვნახოთ, ეს წარმატება გვაიმედებს, რომ არც იქ ვიასპარეზებთ ურიგოდ.

ესაუბრა
**სოსო ტუღუშლაშვილი,**
მ. კაკაბაძის სტუდიის მსმენელი.



## ფეხბურთს გამოეთხოვა

ცნობილი ფრანგი მსაჯი მიშელ ვოტრო ამას წინათ ოფიციალურად გამოეთხოვა ფეხბურთს. 15 წლის მანძილზე იგი მსაჯობდა ორ მსოფლიო ჩემპიონატში, ევროპული საკლუბო ტურნირების 47 მატჩში, ევროპის 1988 წლის ჩემპიონატში. 1988 და 1989 წლებში ვოტრო დაასახელეს № 1 მსაჯად მსოფლიოში.

## კლუბს ერქმევა „იოჰან კრუიფ სპორტი“.

ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ჰერი მიულერმა, რომელიც იოჰან კრუიფის დიდი მეგობარია, გამოთქვა აზრი ახალი კლუბის შექმნის შესახებ. კლუბს ერქმევა „იოჰან კრუიფ სპორტი“ და იასპარეზებს ამსტერდამის ახალ, დიდ სტადიონზე, რომელიც 1992 წლისათვის იქნება მზად. კლუბს მრავალი ქომაგი გამოუჩნდა. სპონსორებმა მას 20 მილიონი დოლარი აღუთქვეს, როგორც „მირითადი კაპიტალი“. ფიფა-მ დაუყოვნებლივ მოიწონა ეს იდეა.

გუნდის მწვრთნელი თვით კრუიფი იქნება, რომელიც ჯერჯერობით როგორც ცნობილია, „ბარსელონაში“ მუშაობს.

## ყველაზე სენსაციური შედეგები

**ექსპერტების** აზრით, სენსაციურ შედეგებად ფეხბურთის ისტორიაში შემდეგი უნდა მივიჩნიოთ: 1950 წ. აშშ—ინგლისი 1:0 (მსოფლიო პირველობაზე ბრაზილიაში), 1966 — კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა — იტალია 1:0 (მსოფლიო პირველობაზე ინგლისში) 1982 — ალჟირი—გფრ 2:1 (მსოფლიო პირველობაზე ესპანეთში), 1988 —ზამბია—იტალია 4:0 (ოლიმპიური თამაშები), 1990 — ფარერის კუნძულები—ავსტრია 1:0 (ევროპის პირველობის შესარჩევი ჯგუფი).

## „ეს უმაღლესი დიდი კაცია“!

თუ რომელიმე ფეხბურთელს მუსიკას უძღვნიდნენ, ეს ან პელე უნდა ყოფილიყო, ან მარადონა. ახლა მათ სკილაჩიც მიემატა. ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა იტალიელი სნაიპერის პატივსაცემად დაწერა სამბა-როკი, რომელსაც ასე უწოდა „ეს ყმაწვილი დიდი კაცია“!

## თუკი მის კანდიდატურას დაამტკიცებენ

ნიუ ორლეანი ერთ-ერთი ქალაქია, სადაც ამერიკელები 1994 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობაზე მატჩების ჩატარებას აპირებენ. თუ ფიფა-ს კომისიამ რაიმე მიზეზით ეს სტადიონი არ დაიწუნა, 70-ათასიანი „ლუიზიანა სუპერდოუმი“ აღმოჩნდება პირველი სრულიად გადახურული სარბიელი, სადაც კი მსოფლიო პირველობის ფინალური ეტაპის მატჩი ჩატარდება.

## ხულიო გრონდონას აზრით

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ ფიფა-ს გაუგზავნა წერილი, სადაც სთავაზობს ზოგიერთ ცვლილებას მსოფლიო პირველობის ჩატარების დებულებაში.

გრონდონას მიაჩნია, რომ ის პირველი სამი გუნდი, რომლებიც 1994 წელს აშშ-ის მსოფლიო პირველობაში გაიმარჯვებს, მომავალ 1998 წლის ჩემპიონატში პირდაპირ, შესარჩევი თამაშების გარეშე უნდა მიიწვიონ. ამავე დროს, იგი თვლის, რომ ფინალის მეორე ფაზაზე წინასწარი ჯგუფებიდან მხოლოდ ორ-ორი გუნდი უნდა გავიდეს.

# მეთერთმეტე სვეტი

● **დაიწყო** 1992 წლის ალბერვილის ზამთრის ოლიმპიადის შეჯიბრებებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა. ბილეთების პირველი პარტიის შეძენა შესაძლებელია საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქის 500 საგაზეთო კიოსკში. სულ ორგანიზატორებს დაგეგმილი აქვთ 800 ათასი ბილეთის გაყიდვა და ამ გზით 35 მილიონი დოლარის ამოღება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კალგარის თეთრ ოლიმპიადაზე 1,4 მილიონი ბილეთი გაიყიდა.

● **ბრძელდება** ერთადგილიანი იალქნიანი ნავების რბოლა მსოფლიოს გარშემო — „ბოკ ჩელენჯი". მეორე ეტაპზე (კეიპტაუნი — სიდნეი) გამარჯვებულმა სამხრეთაფრიკელმა იახტსმენმა ჯონ მარტინმა განაცხადა, რომ მესამე ეტაპზე რეკორდის დამყარებას შეეცდება. იგი თავისი ნავით „ელაიდ ბენკით" 544 კილომეტრიანი მანძილის დაფარვას 24 საათში აპირებს. როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, მიმდინარე რბოლის მონაწილეებმა სისწრაფის ორი რეკორდი უკვე გააუმჯობესეს.

● **ცნობილი** ამერიკელი იახტსმენის დენის კონერის განცხადებით, აფროსანთა ყველაზე საპატიო ჯილდომ (ამერიკის თასმა) შეიძლება დატოვოს აშშ და ბინა ან იტალიაში, ან იაპონიაში, ან კიდევ ახალ ზელანდიაში დაიდოს. ეს, სპორტსმენის აზრით, მოხდება 1992 წელს სან-დიეგოს რეგატის შემდეგ. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ ქვეყნებში რამდენიმე უმაღლესი კლასის იახტსმენი გამოჩნდა იმ დროს, როცა ამერიკაში აფროსნობა, ფაქტობრივად, ერთ ადგილს ტკეპნის.

● **ინგლისის** ფეხბურთელთა კლუბის „არსენალის" კაპიტანს ტონი ადამსს ეროვნული ნაკრების შემადგენლობიდან გამევება ემუქრება. საქმე ისაა, რომ 24 წლის პროფესიონალ ფეხბურთელს ლონდონის სასამართლომ ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისთვის 4 თვით პატიმრობა მიუსაჯა. ბრიტანეთის ფეხბურთის ასოციაცია სპორტსმენის რეპუტაციას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, ამიტომ იგი ალბათ უარს იტყვის ნაკრების ერთ-ერთ წამყვან სტოპერზე, რომელსაც ქვეყნის მთავარ გუნდში უკვე 18 შეხვედრა აქვს ჩატარებული. სხვათა შორის, ტონი ადამსს ნაკრების კაპიტნობასაც სთავაზობდნენ. აი, როგორი სავალალო შედეგები მოუტანა მას ერთმა დაუფიქრებელმა საქციელმა.

● **მადრიდის** გაზეთ „პაისის" აზრით, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას მოემსახურება 10 ათასი პოლიციელი. ჟურნალისტთა და მიმომხილველთა აზრით, ეს არც ისე დიდი ციფრია, თუ მხედველობაში მივიღებთ ტერორიზმისა და დანაშაულობათა ზრდის ტემპებს მთელს მსოფლიოში. სხვათა შორის, გაზეთი ამასთან დაკავშირებით საინტერესო პარალელებს გვთავაზობს: ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ანალოგიურ მისიას ასრულებდა 15 ათასი პოლიციელი, 1988 წელს სეულის ოლიმპიადის უსაფრთხოებას კი 100 ათასი (!) პოლიციელი ემსახურებოდა.

● **მსოფლიოში** ყველაზე ტიტულოვან მთამსვლელ ქალად მიჩნეულია იაპონელი იუნკო ტაბეი, რომელმაც ჯერ კიდევ 1975 წელს დაიპყრო მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (8848 მეტრი ზღვის დონიდან). სხვათა შორის, იგი პირველი ალპინისტი ქალია, რომელმაც ფეხი შედგა ამ მწვერვალზე. ტაბეიმ შემდგომში რამდენიმე ბრწყინვალე ასვლა განახორციელა მონბლანზე (საფრანგეთში), კილიმანჯაროზე (ტანზანიაში), აკონკაგუაზე (არგენტინაში), მაკ-კინლიზე (ალიასკა). და აი ახლა, 51 წლის ასაკში მან ოთხ თანმხლებ პირთან ერთად დაიპყრო ანტარქტიდის უმაღლესი მწვერვალი ვინსონი (5140 მეტრი ზღვის დონიდან).

# „მართვეს" ჩოგბურთელთა ტრიუმფი



**უჟგოროდში** გაიმართა იუნიორ ჩოგბურთელთა საკავშირო პირველობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სკოლის აღსაზრდელებმა და საკმაოდ წარმატებითაც იასპარეზეს: ორმა პირველი ადგილი დაიკავა და ორმაც — მეორე.

გოგონათა შორის ტურნირის ჩემპიონი გახდა თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ირინე ბახტაძე, ჭაბუკებში კი უძლიერესი იყო 29-ე საშუალო სკოლის წარმომადგენელი ალექსანდრე ბურჭულაძე. საინტერესოა, რომ ორივე თანრიგში მეორე საპრიზო ადგილებიც ქართველ ჩოგბურთელებს ხვდათ: გოგონებში — ნინო შავიძეს (169-ე სკოლა), ჭაბუკებში — ირაკლი კუნჭულიას (161-ე სკოლა).

შევახსენებთ, რომ ყველა ზემოთაღნიშნული ჩოგბურთელი სპორტსაზოგადოება „მართვეს" წევრები არიან (მწვრთნელი დ. ნოზაძე).

**დოქტორი ტანია ბელიჩენოვა:**

# „ყოველი თავისუფალი წუთი—სპორტს!"

**დოქტორი** ტანია ბელიჩენოვა ცნობილი ბულგარელი ექსტრასენსია. იგი მონაწილეობდა მოსკოვში მოქმედ არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის მუშაობაში, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი ჯუნა დავითაშვილი ხელმძღვანელობს. ბელიჩენოვას 16 სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მოამზადა დისერტაციაც. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას ესაუბრა სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის" კორესპონდენტი.

ინტერვიუს დასაწყისში ნათქვამია, რომ ტანია ბიოდენის საშუალებით, ჩინებულად მკურნალობს დისკოპათიას, თავის ტკივილს, სხვადასხვა სპორტულ ტრავმებს (მან, მაგალითად, საკმაოდ სწრაფად მოარჩინა აკადემიური ნიჩბოსანთა შეჯიბრებაში ძლიერ დაშავებული სპორტსმენები), დაქვეითებულ მხედველობასა და სმენას, დამბლის ზოგიერთ გამოვლენას, დიაბეტს, სახსრების ავადმყოფობას, შიშს, გულის ნევროზს, მაღალ და დაბალ წნევებს და ა. შ.

● **როგორც პედიატრიის, კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის და რეაბილიტაციის სპეციალისტი, რას ფიქრობთ სპორტის, როლზე თანამედროვე ცხოვრებაში?**

— სპორტის როლი ჩვენს ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებულია! იგი აუცილებელია ყველა თანამედროვე ადამიანისათვის, თუმცა მას ამ სფეროში რაიმე განსაკუთრებული ოსტატობის მიღწევა სულაც არ უნდა აფიქრებდეს. ავილოთ ისეთი სახეობები, რომლებიც ხელმისაწვდომია ახალგაზრდისთვისაც და ასაკოვანი ადამიანისთვისაც — ცურვა, სხვადასხვა თამაშები ბურთით, თხილამურები, სპორტული სიარული, სირბილი. მასობრივმა სპორტმა და ფიზკულტურამ ყველა სახლში, ბინაში, ოჯახში უნდა შეაღწიოს, ამასთან, ვარჯიში, რაც შეიძლება ადრეულ ასაკში უნდა დავიწყოთ, მას მთელი თავისუფალი დრო უნდა მივუძღვნათ, აქ მე ხაზი უნდა გავუსვა ბულგარელების ძველთაძველ მანიას — ასწავლონ ბავშვებს უამრავი ენა, მიიყვანონ სხვადასხვა მუსიკალურ, საბალეტო თუ სხვა სკოლებში. ამავე დროს ისინი ივიწყებენ მთავარს — მოძრაობას, ჯანმრთელობას.

● **გაინტერესებთ თუ არა სპორტული ცხოვრება ჩვენთან, საზღვარგარეთ?**

— მაინტერესებს, და, ვფიქრობ, ვერკვევი კიდეც. ჩემი სიყვარული, თქვენ არ გაგიკვირდებათ, ფეხბურთია, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ველინგრადში მონაწილეობას ვიღებდი ჩვენი ეროვნული ნაკრების მომზადებაში, პირადად დავამყარე კონტაქტი ბობი მიხაილოვთან, ნასკო სირაკოვთან, ნიკი ილიევთან, რომელიც ყველაზე ინტელიგენტ ბულგარელ ფეხბურთელად და ნამდვილ ხელოვნად მიმაჩნია. იგივე შეიძლება ითქვას ლიუბო პენევზე. ამ დროს მე ზოგ ჩვენს ფეხბურთელს მოვურჩინე დაზიანებული მუხლი. მსოფლიო ჩემპიონატების დროს ტელევიზორს ვერ ვშორდები, ძლიერ განვიცდი.

● **რითი უნდა აიხსნას ქალის ასეთი გატაცება ფეხბურთით?**

— ხანდახან ვწუხვარ კიდეც, რომ ვაჟად არ დავიბადე. ბავშვობიდან სტადიონების ხშირი სტუმარი ვარ, ვესწრები ფეხბურთის მატჩებს. თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ ფეხბურთი ჩემი ერთადერთი გატაცება არ გახლავთ. სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი, ოთხი წლის მანძილზე კალათბურთს ვთამაშობდი, ინსტიტუტში ხელბურთს მივდევდი და სტუდენტურ ნაკრებშიც მოვხვდი, ახლა, თუმცა თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, ვცურავ, ფეხით დიდ მანძილს ვფარავ, ვცდილობ მუდამ ვიმოძრაო, რათა იმ ენერგიის აკუმულირება მოვახდინო, რომელიც სხვათა მკურნალობისათვის მჭირდება. აქ ჩემი პარტნიორია მეუღლე ათანასი, ყოფილი ფეხბურთელი, რომელსაც პირველი თანრიგი აქვს სათხილამურო სპორტსა და ცურვაში. ჩემი შვილები ნელი და ილიანა ფრენბურთს თამაშობენ და მოსწავლეთა ნაკრებში ირიცხებიან. როგორც ხედავთ, ჩვენ სპორტული ოჯახი ვართ.

● **შეუძლია თუ არა ექსტრასენსს სტიმული, ანუ დოპინგი, მისცეს სპორტსმენს შეჯიბრების წინ?**

— შეიძლება ზოგს ეს კითხვა არასერიოზულად მოეჩვენოს, მაგრამ ბევრი სპორტსმენი დიდ იმედებს ამყარებს სწორედ არატრადიციული მედიცინის მეთოდებზე. ყოფილა შემთხვევები, როცა სპორტსმენები უშუალო ოპერატიული ჩარევის გარეშე მოგვირჩენია. დოქტორმა კაშპიროვსკიმ ევროპის პირველობის წინ დაშავებული კალათბურთელი სულ რამდენიმე დღეში განკურნა. ვინც არ მიჯერებს, შეიძლება ვუთხრა, რომ საკუთარი თვალით ვნახე პაციენტების უზარმაზარი რიგი მის ბინასთან. საერთოდ, ყველა ექსტრასენსი აქტიური სპორტსმენია — თამბაქო, ალკოჰოლი, ასე გასინჯეთ, ყავაც კი, ჩვენთვის მიუღებელია. თვით კაშპიროვსკი ყოფილი ძალოსანია, სპორტის ოსტატი.

დასასრულს მიმომხილველი კრასიმირ დენოვსკი წერს, რომ მან უსურვა ტანია ბელიჩენოვას, ჯუნას საყვარელ მოწაფეს, არასოდეს გამოლეოდეს მისი უსაზღვრო ენერგია, რათა ხალხს დიდი სამსახური გაუწიოს.

**მოამზადა**
**გივი თორელმა.**

# ვენდოთ მათ გემოვნებას

**როგორც** გაუწყეთ, რამდენიმე დღეა, რაც თბილისში, სპორტის სასახლესთან გაიხსნა სპორტული ტანსაცმლის მაღაზია. სპორტმაღაზიებით ვის გააკვირვებ ჩვენში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ ისინი, მაგრამ რად გინდა... დახლებზე უგემოვნოდ და უხარისხოდ შეკერილ-დამზადებული სპორტული ნაწარმი დახვავებულა.

ეს კი სულ სხვაა. აქ მხოლოდ თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის მიერ დამზადებული ფირმათა ფირმის „ადიდასის" ლიცენზირებული პროდუქცია შეგიძლიათ შეიძინოთ.

არც ინანებთ!

გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობიაო. კარგად დააკვირდით ამ ფოტოსურათს. როგორ ფიქრობთ, ამ ლამაზმანებს გემოვნება დაეწუნებათ? სხვა ფირმის სპორტული ტანსაცმელი უფრო მეტად დაშვენდებოდათ?

არა გვგონია!



ვენდოთ მათ გემოვნებას, სამოსის შერჩევის ნიჭს და ვეწვიოთ თბილისურ „ადიდასს".

# თენგიზ გასვიანი

ახალგაზრდებმა დაჰკარგეს მასწავლებელი და აღმზრდელი, ნაცნობ-მეგობრებმა — ნამუსიანი კაცი, სპორტმა — უანგარო მსახური. ასეთი იყო თენგიზ გასვიანი, ალალი და დაუღალავი მშრომელი, რომელმაც თავისი ცხოვრება საყვარელი სპორტის სახეობის — თავისუფალი ჭიდაობის სამსახურში გაატარა.

დაიბადა 1941 წლის 22 დეკემბერს მშრომელი კაცის ოჯახში. დაამთავრა თბილისის მე-5 საშუალო სკოლა, მერე საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი. მეცადინეობდა თავისუფალ ჭიდაობაში, მოიგო რამდენიმე ტურნირი, გახდა სპორტის ოსტატი, მაგრამ ინსტიტუტის კედლებში მიღებულ ცოდნასა და პროფესიას ვეღარ უღალატა. 4 წლის მანძილზე მუშაობდა მშობლიურ სასწავლებელში მასწავლებლად, მერე კი თავისი ცხოვრება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაუკავშირა. აქ ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრაზე ჯერ მასწავლებელი იყო, მერე კი უფროსი მასწავლებელი.

იგი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობდა ახალგაზრდებთან, ხალისით ასწავლიდა მათ შრომას, პატიოსნებას, ურთიერთსიყვარულსა და მეგობრობას. არც ჭიდაობას ივიწყებდა და როგორც გამოცდილი სპეციალისტი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი — ბევრ საპასუხისმგებლო ტურნირს ემსახურებოდა.

სიკვდილი მუდამ აუნაზღაურებელი დანაკლისია, განსაკუთრებით კი მძიმე მაშინ, როცა ამ ქვეყნიდან ალალი და ნამუსიანი კაცი მიდის.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრა.**

# იქნებ რეკორდი გაუმჯობესდეს

**შაბათს** მოსკოვში, „დინამოს" საფეხბურთო მანეჟის კონფერენცდარბაზში მოეწყობა შოუ-პროგრამა, რომლის მსვლელობაში გინესის რეკორდსმენი, 52 წლის თბილისელი ჯუმბერ ლეჟავა შეეცდება თავისი ადრინდელი მიღწევის გაუმჯობესებას.

როგორც ვიტყობინებოდით, ლეჟავა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა მას შემდეგ, რაც იატაკიდან ორი ხელით ერთ საათში 4447-ჯერ აიზიდა. ახლა მას განზრახული აქვს თავისი რეკორდი 1000 აზიდვით გააუმჯობესოს.

იმავე დღეს მანეჟის კონფერენცდარბაზში მისულნი კიდევ ერთი საინტერესო სანახაობის მოწმენი გახდებიან: ჩვენი თანამემამულე ნუკრი ღვინიაშვილი ტანსაცმელგახდილი „წამოწვება" ალესილი დანის წვერებსა და ლურსმნებზე და შემდეგ მშვიდად წამოდგება ისე, რომ სხეულზე ერთი ნაკაწრიც არ ექნება. არის თუ არა ეს „ნომერი" სარეკორდო წიგნისთვის გამიზნული, ძნელი სათქმელია, მაგრამ სანახაობა უდავოდ საინტერესო იქნება.

## ინფორმაცია

**სევილია.** ესპანეთის ამ ქალაქის შემოგარენში გაიმართა საერთაშორისო კროსი, რომელიც კენიელმა ოსორო ონდორომ მოიგო. 10 კილომეტრიანი მანძილი მან 28.33-ში დაფარა. ქალებში, რომლებიც 5,6 კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ, ყველას ინგლისელმა ანდრეა უოლესმა აჯობა — 17.39.

რედაქტორის მოადგილე
თამაზ მიგრიაული

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები მ. ძამამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 438

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20